გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერებს

2024 წლის 20 დეკემბრის დღის 15 საათზე ქ. ბათუმში, კომახიძის ქ. #119-ში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს იურიდიულ მისამართზე: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. #119, IV სართული, სააქტო დარბაზი) გაიმართება სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერთა რიგითი საერთო კრება, შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2023 წლის აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების განხილვისა და დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
2. სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2025 წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემების (ბიზნეს-გეგმის) დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
3. სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2024 წლის ფინანსური ანგარიშის შემოწმებაზე აუდიტორის დანიშვნის შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);

სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერთა რიგითი საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დადგინდეს 2024 წლის 5 დეკემბერი;

აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს დღის 14 საათიდან.

კრებაში მონაწილეობის უფლებისა და თქვენს განკარგულებაში არსებული ხმების რაოდენობის დადგენის შესახებ შეგიძლიათ მიმართოთ სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორს“ შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 74ა; ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის 11 (საკონტაქტო პირი - ლუიზა ჩიკაშუა, ტელეფონის ნომერი: 599 15-88-06).

სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორს გააჩნიათ შემდეგი სახის რეკომენდაციები (გადაწყვეტილების პროექტები):

A. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

- დამტკიცდეს სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2023 წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილი სახით;

B. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

- დამტკიცდეს სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2025 წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემები (ბიზნეს-გეგმა) წარმოდგენილი სახით;
- სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2025 წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემები განისაზღვროს 13,000,000 (ცამეტი მილიონი) მილიონი ლარით (**შენიშვნა:** უნდა აღინიშნოს რომ, 13,000,000 მილიონი ლარიდან პროექტით გათვალისწინებული გადასახდელი თანხა (მათ შორის, დღგ) შეადგენს მხოლოდ 10,391,000 ლარს, რაც პროექტის მასშტაბურობიდან

გამომდინარე არის მცირე თანხა და გასათვალისწინებელია შემდგომში აღნიშნული თანხის ზრდის აუცილებლობა);

C. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

• დაევალოს სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს დირექტორს 2024 წლის ფინანსური ანგარიშის შემოწმებაზე აუდიტორული მომსახურეობის შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ შესაბამისად;

სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი“-ს დირექტორატი